ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **202021132**
თარიღი: **29/07/2020**
პინი: **4987**

ადრესატი: ია ტრაპაიძე
პირადი ნომერი: 35001062333
მისამართი: თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 35/37 ბ. 177გ

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01201692533-67
განცხადების თარიღი: 17/06/2020

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.14.08.009.011
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ქუჩა იმედაძის N47
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : შპს ჯეო-ქია ბილდინგ

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.14.08.009.028
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ქუჩა უჩანეიშვილი, N 47
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : თამარ ნებიერიძე ნესტორ ხონელიძე

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.14.08.009.029
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ქუჩა, ირაკლი უჩანეიშვილის, N 47
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : ი.ბ.ა. ,,უჩანეიშვილის 47"

განმცხადებელი-დამკვეთი :ია ტრაპაიძე
პირადი ნომერი :35001062333
მისამართი :თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 35/37 ბ. 177გ

ნომენკლატურა :მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილება ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად /

თქვენი, 2020 წლის 17 ივნისის N01201692533-67 განცხადებით რომლითაც ითხოვთ ქალაქი თბილისში, იმედაძის ქუჩა N47; ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩა N 47-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.08.009.011, 01.14.08.009.028, 01.14.08.009.029) ფუნქციური ზონის ცვლილებას განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად გაცნობებთ, რომ საკითხი ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დასამტკიცებლად კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გიგზავნით საკრებულოს დადგენილებას დანართის სახით.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 61-90

"24" ივლისი 2020 წ

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

ბ) პირველი მუხლის „ა" პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ფუნქციური ზონები




ლეგენდა
შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-1
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-2
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-3
შემოთავაზებული სატყეო ზონა
არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)
არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)
არსებული სატყეო
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური)
1:30,000



მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ

1:30 000

ცვლილების საინფორმაციო მასალა

ფუნქციური ზონები



ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

საკითხი 11

ადგილმდებარეობა



მისამართი: ქალაქი თბილისი, იმედაძის ქუჩა N47; ქალაქი თბილისი, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩა N 47

საკადასტრო კოდი : N01.14.08.009.011, 01.14.08.009.028, 01.14.08.009.029

განცხადების ნომერი : N01201692533-67

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



ფუნქციური ზონირება 2014-2018



მოთხოვნის ტექსტი: დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება.
ცვლილების საერთო ფართობი: 2578კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)

ზონირების ბალანსი

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1) (2570კვ.მ)	საცხოვრებელი ზონა-3 (სზ-3) (2578კვ.მ)
სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (8კვ.მ)	

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს პოზიცია : არ საჭიროებს.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: არ საჭიროებს.

სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის პოზიცია შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონირების ცვლილება.